



სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

10/03/2026



MES 7 26 0000294234

ბრძანება

თბილისი

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ გამოცხადების და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ

„მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის N98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N293028; 10.03.2026) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2026 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი „კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის პირველ ეტაპზე წარსადგენი განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს თანხმობის წერილი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსის მეორე ეტაპზე წარსადგენი პროექტის აღწერილობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებები და ქვემიმართულებები ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს კონკურსის პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმები ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს კონკურსის მეორე ეტაპის შეფასების კრიტერიუმები ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი ქეთევან გორგაძე
12. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
12. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
13. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოკვირი თეიმურაზ

თ. დოჭვიანი



2026 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის
„ლეონარდო და ვინჩის“ პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება; ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.
2. კონკურსი ტარდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის N98 დადგენილების შესაბამისად.
3. კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც არის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო და კერძო სკოლების) VII-XII კლასის მოსწავლე.
2. კონკურსში საკონკურსო განაცხადების წარდგენა შესაძლებელია ინდივიდუალურად და ჯგუფურად. ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კლას(ებ)ის სამ მოსწავლეს. კონკურსზე პროექტის დარეგისტრირების შემდეგ ჯგუფის წევრის სხვა მონაწილით ჩანაცვლება დაუშვებელია.
3. თითოეულ გუნდს შეუძლია გუნდის ლიდერის დანიშვნა, რომელიც მიმდინარე სამუშაოებს გაუწევს კოორდინაციას, იქნება გუნდის სპიკერი და საკონტაქტო პირი. მიუხედავად ამისა, გუნდის თითოეულ წევრს უნდა შეეძლოს სპიკერის/საკონტაქტო პირის როლის შესრულება, უნდა იყოს სრულად ჩართული პროექტში და იცნობდეს მის ყველა ასპექტს. საბოლოო ნამუშევარი უნდა ასახავდეს გუნდის ყველა წევრის კოორდინირებულ ძალისხმევას. გუნდური პროექტი შეფასდება ინდივიდუალური პროექტების მსგავსი წესებითა და შეფასების კრიტერიუმებით.
4. ერთი და იგივე პირი ვერ იქნება საკონკურსოდ წარდგენილი ორზე მეტი განაცხადის ავტორი ან თანაავტორი. გამარჯვების შემთხვევაში დაფინანსდება მხოლოდ ერთი პროექტი.
5. საკონკურსოდ არ განიხილება განაცხადი, რომელმაც საპრიზო ადგილი დაიკავა ან გაიმარჯვა ფონდის ან სხვა ორგანიზატორის მიერ ადრე ჩატარებულ კონკურსში. ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან.
6. თითოეულ გუნდს ან მოსწავლეს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი, რომელიც შესაძლებელია იყოს მასწავლებელი, მშობელი ან მეცნიერი, რომლის ლაბორატორიაშიც მოსწავლე მუშაობს. ხელმძღვანელს პროექტზე მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს მოსწავლე(ებ)სთან. ის უნდა იცნობდეს ყველა შესაბამის რეგულაციას, რომელიც პოტენციურად საშიში ან სარისკო კვლევის ჩატარებას უკავშირდება და რომლებიც მოსწავლის პროექტთანაა დაკავშირებული. ასეთი კვლევა შეიძლება მოიცავდეს ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერებებისა და აღჭურვილობის გამოყენებას, ექსპერიმენტულ

მეთოდებს, უჯრედების კულტურის, მიკროორგანიზმების ან საშიში ცხოველების/ცხოველური ქსოვილების შესწავლას.

7. იმ შემთხვევაში, თუ კვლევა ხორციელდება ლაბორატორიაში ან უკავშირდება პოტენციურად საშიშ ბიოლოგიურ და კონტროლირებად ნივთიერებებს, აუცილებელია შესაბამისი რეგულაციების, შეზღუდვების ზედმიწევნით ზუსტი დაცვა და შესაბამისი დარგის მეცნიერის ან ზედამხედველის მონაწილეობა პროექტში.

8. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს საკონკურსოდ წარადგინოს მხოლოდ საკუთარი ავტორობით/თანაავტორობით შედგენილი განაცხადი.

მუხლი 3. საკონკურსო განაცხადების წარდგენა

1. საკონკურსოდ განაცხადი უნდა შეიცავდეს გამოგონების/კვლევის ტექსტურ აღწერილობასა და ილუსტრაციას ნახაზის/მოდელის/მაკეტის სახით.

2. კონკურსის მიზნებისთვის გამოგონებად ჩაითვლება იმ ტექნიკური პრობლემის ახლებური გადაწყვეტის იდეა, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს პროდუქტს ან პროდუქტის მიღების ტექნოლოგიას.

3. ნებისმიერი პროექტი, რომელიც ეფუძნება მოსწავლის კონკურსამდე განხორციელებულ კვლევას, შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც პროექტის გაგრძელება/კვლევის პროგრესირება. ამგვარი პროექტების წარდგენის დროს დოკუმენტირებული უნდა იყოს ის, რომ დამატებითი კვლევა წარმოადგენს წინა კვლევის მნიშვნელოვან განვრცობას (მაგ.: ახალი ცვლადის ან კვლევის ახალი ხაზის გამოცდა). წინა ექსპერიმენტირების გამეორება იმავე მეთოდოლოგიითა და იმავე საკვლევი კითხვით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შერჩევის ზომა იქნება გაზრდილი, არ არის მისაღები კონკურსის ფარგლებში.

4. კვლევითი პროექტი შესაძლებელია იყოს შესაბამისი დარგის მეცნიერის მიერ ჩატარებული უფრო ფართო კვლევის ნაწილი, თუმცა პროექტი, რომელსაც მოსწავლე წარადგენს, უნდა მოიცავდეს საერთო კვლევის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც საკუთრივ მოსწავლემ ან მოსწავლეებმა ჩაატარეს.

5. სამეცნიერო გაყალბება ან გადაცდომა არ დაიშვება კონკურსის არც ერთ დონეზე. ეს მოიცავს პლაგიატს, გაყალბებას, სხვა მკვლევრის ნამუშევრის ისე გამოყენებას ან წარდგენას, როგორც საკუთარს და მონაცემების ფალსიფიცირებას/ფაბრიკაციას.

6. კვლევა უნდა განეკუთვნებოდეს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:

- 1) ქცევითი და სოციალური მეცნიერებები;
- 2) ქიმია/ბიოქიმია/ბიოსამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებები;
- 3) უჯრედის და მოლეკულური ბიოლოგია;
- 4) კომპიუტერული ბიოლოგია და ბიოინფორმატიკა;
- 5) დედამიწისა და გარემოსდაცვითი მეცნიერებები;
- 6) დანერგული სისტემები;
- 7) ენერგია: ქიმიური და ფიზიკური;
- 8) საინჟინრო მექანიკა;
- 9) გარემოსდაცვითი ინჟინერია;
- 10) მასალათმცოდნეობა;
- 11) მათემატიკა;

- 12) მიკრობიოლოგია;
- 13) ფიზიკა და ასტრონომია;
- 14) მცენარეების შემსწავლელი მეცნიერებები;
- 15) რობოტიკის და ინტელექტუალური მანქანები;
- 16) კომპიუტერული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამეცნიერო მიმართულებებსა და ქვემიმართულებებში (დანართი N7).

7. გამოგონებად არ მიიჩნევა „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ობიექტები. ესენია:

- ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, მათემატიკური მეთოდი;
- ბ) მხატვრული ქმნილება;
- გ) ალგორითმი, კომპიუტერული პროგრამა;
- დ) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდი, თამაშობის, გათამაშების წესები;
- ე) საქმიანობისა და ორგანიზების მართვის მეთოდი;
- ვ) შენობა-ნაგებობის, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების პროექტები;
- ზ) ინფორმაციის წარდგენა.

8. ასევე საკონკურსოდ არ განიხილება პროექტები, რომლებიც წარმოადგენენ სასწავლო პროცესისათვის საჭირო სადემონსტრაციო საშუალებას, თვალსაჩინოებას ან დამხმარე ინსტრუმენტს.

9. საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10. ილუსტრაციის სახით თანდართული ნახაზ(ებ)ი შესაძლებელია შესრულებული იყოს ნებისმიერი ფორმატის ფურცელზე. მაგ.: ნახაზისთვის შეიძლება გრაფიტის ფანქრების, ფერადი ფანქრების, ფლომასტერების, აკვარელებისა და ნახაზის შესაქმნელი სხვა საშუალებების გამოყენება. შესრულების სტილი არ არის შეზღუდული. საკონკურსო განაცხადს შესაძლებელია ერთვოდეს საილუსტრაციო მაკეტი/მოდელი/ნახაზი. დასაშვებია საილუსტრაციო ნახაზის ან მოდელი/მაკეტის წარმოდგენა სპეციალური კომპიუტერული ტექნოლოგიების/პროგრამების გამოყენებით.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია და კონკურსის ეტაპები

1. კონკურსის ადმინისტრირება ხორციელდება ორ ეტაპად: (1) კონკურსის პირველი ეტაპი; (2) კონკურსის მეორე ეტაპი, რომელიც ასევე მოიცავს კონკურსის ფინალს - საკონკურსო გამოფენას.

2. კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობისათვის საჭიროა:

ა) გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS [Grants Management Unified System] საკონკურსო განაცხადის ელექტრონულად დარეგისტრირება. ელექტრონული საკონკურსო განაცხადი შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:

ა.ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი N2, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ა.ბ) კვლევის გეგმა/პირველადი იდეა (დანართი N3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით);

ა.გ) კონკურსის მონაწილე(ებ)ის დაბადების მოწმობ(ებ)ის ელექტრონული ასლ(ებ)ი (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით);

ა.დ) კონკურსის მონაწილე(ებ)ის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/მშობლის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერით დამოწმებული თანხმობის წერილი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ (დანართი N4, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით);

- თანხმობის წერილთან ერთად ასევე იტვირთება ამავე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ელექტრონული ასლი და ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება არასრულწლოვნის მეურვეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია;
- კონკურსში 14 წლამდე არასრულწლოვნის მონაწილეობის შემთხვევაში სავალდებულოა, თანხმობის წერილი დამოწმებული იყოს ამავე მონაწილის ორივე მშობლის მიერ.

ა.ე) პროექტის ხელმძღვანელისა და შესაბამისი დარგის მეცნიერის ან ზედამხედველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები ნებისმიერი ფორმით, ქართულ ენაზე (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით);

ბ) საკონკურსო განაცხადისათვის ფონდის კანცელარიაში მატერიალური ფორმით **კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების** წარმოდგენა. განცხადება დადასტურებული უნდა იყოს პროექტის ავტორების, პროექტის ხელმძღვანელისა და შესაბამისი დარგის მეცნიერის/ზედამხედველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერებით (დანართი N5, ავტომატურად იქმნება GMUS-ის საშუალებით).

3. კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილეობისათვის საჭიროა:

ა) გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) კონკურსის პირველ ეტაპზე ელექტრონულად დარეგისტრირებული და მეორე ეტაპზე დაშვებული საკონკურსო განაცხადისათვის დამატებით შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ა.ა) პროექტის აღწერილობა (დანართი N6, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით);

ა.ბ) საილუსტრაციო მაკეტის/მოდელის ან/და ნახაზის შემცველი ელექტრონული ფაილები (ფოტოები; დასაშვებია ნახაზების დასკანერებული ვარიანტი; იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით);

ბ) საილუსტრაციო ნახაზის/მოდელის/მაკეტის მატერიალური ფორმით ფონდში წარმოდგენა.

4. კონკურსის ფინალში - საკონკურსო გამოფენაზე მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობაა კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვებულმა პროექტმა მოიპოვოს ამ ბრძანების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ქულათა რაოდენობა.

5. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

6. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარდგენილი აქვს შესაბამისი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება:

ა) კონკურსის პირველ ეტაპზე გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) საკონკურსო განაცხადის ელექტრონული რეგისტრაცია - 2026 წლის 16 მარტიდან 24 აპრილის 18:00 საათამდე;

- ბ) კონკურსის პირველ ეტაპზე ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - 2026 წლის 30 აპრილის 18:00 საათამდე;
- გ) კონკურსის მეორე ეტაპზე გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) საკონკურსო განაცხადის ელექტრონული რეგისტრაცია - 2026 წლის 23 სექტემბრის 18:00 საათამდე;
- დ) კონკურსის მეორე ეტაპზე ფონდში საილუსტრაციო ნახაზის/მოდელის/მაკეტის მატერიალური ფორმით წარმოდგენა - 2026 წლის 30 სექტემბრის 18:00 საათამდე;

2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვასა და გადაგზავნას (ე.წ. Submit) ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS - ბმული: <http://gmus.rustaveli.org.ge>) შემდეგი ფორმით:

ა) გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) პროექტის ხელმძღვანელი ქმნის ინდივიდუალურ „მეცნიერის პროფილს“;

ბ) პროექტის ხელმძღვანელი ინდივიდუალური „მეცნიერის პროფილით“ არეგისტრირებს საკონკურსო განაცხადს - ავსებს კონკურსის პირობების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას და GMUS-ის შესაბამის ველეებში ტვირთავს მოთხოვნილ დოკუმენტებს.

3. პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საკონკურსო განაცხადის სრულყოფილად წარმოდგენაზე.

მუხლი 6. საკონკურსო განაცხადების შეფასება

1. საკონკურსო განაცხადებს აფასებს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობასაც აკომპლექტებს ფონდის გენერალური დირექტორი დარგის/ქვემიმართულებების დამოუკიდებელი ექსპერტებისგან. საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს შესაბამისი დარგის ექსპერტი.

2. საკონკურსო კომისია კონკურსის პირველ ეტაპზე წარდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს და აფასებს პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმების (დანართი N8) მიხედვით და განსაზღვრავს კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ პროექტებს.

3. კონკურსის მეორე ეტაპზე დაიშვებიან ის კონკურსანტები, რომლებიც პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მიიღებენ არანაკლებ 30 ქულას.

4. კონკურსის მეორე ეტაპზე საკონკურსო კომისია შეაფასებს უკვე დასრულებულ ნამუშევრებს და შეარჩევს საკონკურსო გამოფენისათვის საუკეთესო ნამუშევრების მქონე კონკურსანტებს მეორე ეტაპის შეფასების კრიტერიუმების (1,2,3,4 კრიტერიუმი) მიხედვით (დანართი N9).

5. კონკურსის ფინალზე - საკონკურსო გამოფენაზე - გასასვლელად, აუცილებელი პირობაა პროექტმა მეორე ეტაპზე (მეორე ეტაპის 1,2,3,4 კრიტერიუმებში ჯამურად) მიიღოს 40 ან მეტი ქულა.

6. საკონკურსო კომისია საკონკურსო გამოფენაზე გამოავლენს გამარჯვებულებს 2026 წლის ნოემბერის/დეკემბრის თვეში.

7. საკონკურსო გამოფენაზე კონკურსში შერჩეული კონკურსანტები საკონკურსო კომისიის წინაშე წარდგებიან ხანმოკლე პრეზენტაციით თავიანთი გამოგონების შესახებ. საკონკურსო კომისია საკონკურსო გამოფენაზე გამოავლენს გამარჯვებულებს მეორე ეტაპის კრიტერიუმების შესაბამისად მიღებული ქულების დაჯამების საფუძველზე, კერძოდ, გამოვლინდება გრანპრის, პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი პროექტები.

8. გრანპრის მფლობელი პროექტის ავტორი დაჯილდოვდება 10 000 ლარის ოდენობით; პირველ ადგილზე გასული პროექტის ავტორი დაჯილდოვდება 5 000 ლარის ოდენობით, მეორე ადგილზე გასული პროექტის ავტორი - 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო მესამე ადგილზე გასული პროექტის ავტორი - 2 000 ლარის ოდენობით.

9. ჯგუფურად წარმოდგენილი პროექტების დაჯილდოების შემთხვევაში შესაბამისი თანხა თანაბრად იყოფა ჯგუფის წევრებს შორის.

10. საკონკურსოდ არ განიხილება პროექტი, რომელიც არ შეესაბამება ამ წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ პირობებს.

მუხლი 7. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება კანონმდებლობით დადგენილი წესით - 10 მარტი;

ბ) კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო განაცხადების ელექტრონული რეგისტრაცია გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (Gmus) - 2026 წლის 16 მარტიდან 24 აპრილის 18:00 საათამდე;

გ) კონკურსის პირველ ეტაპზე ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - მატერიალური ფორმით კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების წარმოდგენა - 2026 წლის 30 აპრილის 18:00 საათამდე;

დ) კონკურსის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა - კონკურსში რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა - მაისი;

ე) კონკურსის პირველი ეტაპის შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი განაცხადების მოხსნის შესახებ - მაისი;

ვ) კონკურსის პირობების დაცვით, პირველ ეტაპზე წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ - მაისი-ივნისი;

ზ) კონკურსის პირველ ეტაპზე კომისიის მიერ შეფასებული საკონკურსო განაცხადების შედეგების გამოქვეყნება - მაისი-ივნისი;

თ) კონკურსის მეორე ეტაპზე საკონკურსო განაცხადების ელექტრონული რეგისტრაცია გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (Gmus) - 2026 წლის 23 სექტემბრის 18:00 საათამდე;

ი) კონკურსის მეორე ეტაპზე ფონდში საილუსტრაციო ნახაზის/მოდელის/მაკეტის მატერიალური ფორმით წარდგენის ბოლო ვადა - 2026 წლის 30 სექტემბრის 18:00 საათამდე;

კ) კონკურსის მეორე ეტაპზე წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა - კონკურსში რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა - ოქტომბერი;

ლ) კონკურსის მეორე ეტაპის შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი განაცხადების მოხსნის შესახებ - ოქტომბერი;

მ) კონკურსის პირობების დაცვით, მეორე ეტაპზე წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ - ოქტომბერი-ნოემბერი;

ნ) მეორე ეტაპზე კომისიის მიერ შეფასებული საკონკურსო განაცხადების შედეგების გამოქვეყნება - ოქტომბერი-ნოემბერი;

ო) საკონკურსო გამოფენა - კონკურსის ფინალი - ფინალზე წარდგენილი პროექტების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ, გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება - ნოემბერი-დეკემბერი;

პ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება და გამარჯვებულებისათვის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა - ნოემბერი-დეკემბერი;

ჟ) ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები კონკურსის მიმდინარეობისას - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე;

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილის მშობელი, ნათესავი ან მეცნიერი, რომელიც ხელმძღვანელობს მოცემულ პროექტს.

2. ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

3. დამატებითი წევრების მოთხოვნა რეკომენდებულია ინტერესის შესაძლო კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად საკონკურსო კომისიის ექსპერტიზის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 9. კონკურსის ადმინისტრირების ხარჯები

1. კონკურსთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას უზრუნველყოფს ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. ფონდის მიერ შესაძლებელია დაიფაროს შემდეგი ხარჯები:

ა) კონკურსის სარეკლამო-საიმიჯო ბანერების დამზადება და განთავსება საინფორმაციო პორტალებზე, ე. თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში;

ბ) სარეკლამო ვიდეო და აუდიო რგოლის საინფორმაციო პორტალებზე, ტელე და რადიო ეთერში განთავსება;

გ) საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობისათვის შერჩეული კონკურსანტების საზღვარგარეთ მგზავრობის ხარჯი (ფონდის მიერ შესაძლოა დაფინანსდეს ვიზის, მგზავრობის, უცხოეთში ყოფნისას საცხოვრებელი და სადღეღამისო ხარჯები);

დ) კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული მოსწავლეთათვის გადასაცემი სასაჩუქრე ვაუჩერის ხარჯი;

ე) მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენის მონაწილეთათვის ფასიანი საჩუქრების ხარჯი;

ვ) საიმიჯო პროდუქციის ხარჯი;

ზ) მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისა და დაჯილდოებისთვის დარბაზის დაქირავებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის ხარჯი;

თ) სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში რეგისტრაციის დროს

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

კრებსითი ინფორმაცია

**I გვერდი
 ზოგადი ინფორმაცია**

1	პროექტის სახელწოდება	
3	სამეცნიერო მიმართულება	1. ქვევითი და სოციალური მეცნიერებები; 2. ქიმია/ბიოქიმია/ბიოსამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებები; 3. უჯრედის და მოლეკულური ბიოლოგია; 4. კომპიუტერული ბიოლოგია და ბიოინფორმატიკა; 5. დედამიწისა და გარემოსდაცვითი მეცნიერებები; 6. დანერგული სისტემები; 7. ენერჯია: ქიმიური და ფიზიკური; 8. საინჟინრო მექანიკა; 9. გარემოსდაცვითი ინჟინერია; 10. მასალათმცოდნეობა; 11. მათემატიკა; 12. მიკრობიოლოგია; 13. ფიზიკა და ასტრონომია; 14. მცენარეების შემსწავლელი მეცნიერებები; 15. რობოტიკის და ინტელექტუალური მანქანები; 16. კომპიუტერული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა.
4	ქვემიმართულება	
5	წარმოადგენს თუ არა პროექტი წინა წლის კვლევის გაგრძელებას/განვითარებას	ი დიახ ი არა დადებითი პასუხის შემთხვევაში: თან დაურთეთ წინა წლის კვლევის აბსტრაქტი და ამასთანავე ახსენით, რა სიახლეებია თქვენს პროექტში და რით განსხვავდება ის წინა წლის პროექტისაგან.
6	მიმდინარე წლის ლაბორატორიული ექსპერიმენტები / მონაცემების შეგროვება	დაწყების თარიღი (თვე/დღე/წელი) - დასრულების თარიღი (თვე/დღე/წელი)
7	ექსპერიმენტების ჩატარების ადგილი	ი უნივერსიტეტი ი კვლევითი ინსტიტუტი ი სკოლა ი სავლე პირობები ი სახლი ი სხვა (მიუთითეთ)
8	ადგილები, სადაც აწარმოებთ კვლევას (სკოლის გარდა) – ასეთის არსებობის შემთხვევაში	სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ნომერი
9	თანხმობის წერილი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ	PDF დოკუმენტის ატვირთვა
10	კვლევის გეგმა/პირველადი იდეა (I ეტაპი)	PDF დოკუმენტის ატვირთვა

11	ვიზუალური მასალა (II ეტაპი)	ი მაკეტი ი მოდელი ი ნახაზი
12	საილუსტრაციო ელექტრონული ფაილები (II ეტაპი)	PDF დოკუმენტის ატვირთვა
13	არის თუ არა პროექტი წარდგენილი სხვა კონკურსში (II ეტაპი)	ი დიახ ი არა
		კონკურსის დასახელება
14	პროექტის აღწერილობა (II ეტაპი)	PDF დოკუმენტის ატვირთვა

II გვერდი პროექტის წარმდგენები

ინფორმაცია პროექტის ავტორების შესახებ

N	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	პოზიცია	სქესი	ტელეფონის ნომერი	კლასი	სკოლა	სკოლის მისამართი	სკოლის ტელეფონი	სკოლის ელ. ფოსტა	პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
1			გუნდის ლიდერი			VII - XII					PDF დოკუმენტის ატვირთვა
2			გუნდის წევრი			VII - XII					PDF დოკუმენტის ატვირთვა
3			გუნდის წევრი			VII - XII					PDF დოკუმენტის ატვირთვა

ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელის შესახებ

სახელი, გვარი	ელ. ფოსტა	ტელეფონის ნომერი	პროფესიული ბიოგრაფია
			PDF დოკუმენტის ატვირთვა

ინფორმაცია შესაბამისი დარგის მეცნიერის/ზედამხედველის შესახებ

სახელი, გვარი	ელ. ფოსტა	ტელეფონის ნომერი	პროფესიული ბიოგრაფია
			PDF დოკუმენტის ატვირთვა

**2026 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის
„ლეონარდო და ვინჩის“ პირველ ეტაპზე წარსადგენი
საკონკურსო ნამუშევრების კვლევის გეგმა/პირველადი იდეა
(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 150 სიტყვა)
გთხოვთ, სრულყოფილად შეავსოთ თითოეული პუნქტი**

1. პროექტის დასაბუთება

დაასაბუთეთ თქვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის მნიშვნელობა მეცნიერული თვალსაზრისით და თუკი ეს შესაძლებელია, ახსენით, რა სოციალურ გავლენას მოახდენს კვლევა.

2. პროექტის იდეა

ჩამოაყალიბეთ თქვენი ჰიპოთეზა, კვლევის საკითხი, სამეცნიერო/საინჟინრო მიზნები.

3. კვლევის მეთოდები და მოსალოდნელი შედეგები

დეტალურად აღწერეთ თქვენი კვლევის მეთოდები, განსახორციელებელი პროცედურები და მოსალოდნელი შედეგები. აღწერეთ მხოლოდ თქვენი პროექტი, აღწერილობა არ უნდა შეიცავდეს ხელმძღვანელის ან სხვა პირის მიერ გაწეულ სამუშაოს.

4. რისკები და უსაფრთხოება:

მიუთითეთ ნებისმიერ პოტენციურ რისკსა და საჭირო უსაფრთხოების ზომებზე.

5. მონაცემთა ანალიზი:

აღწერეთ პროცედურები, რომლებიც უნდა გამოიყენოთ მონაცემების/შედეგების გაანალიზებისათვის.

6. თუკი პროექტი წარმოდგენს წინა წლის კვლევის გაგრძელებას/განვითარებას

თან დაურთეთ წინა წლის კვლევის აბსტრაქტი და ამასთანავე ახსენით, რა სიახლეებია თქვენს პროექტში და რით განსხვავდება ის წინა წლის პროექტისაგან.

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 10 მარტის N294234 ბრძანებით

თანხმობის წერილი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

მე, -----(სახელი, გვარი), პირადი ნომერი: -----,

როგორც არასრულწლოვნის ----- (სახელი, გვარი) პირადი
ნომერი: ----- მშობელი / კანონიერი წარმომადგენელი / მშობლის
მიერ უფლებამოსილი პირი,

ნებაყოფლობით ვაცხადებ ინფორმირებულ თანხმობას და სსიპ - შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს უფლებას ვაძლევ, რომ 2026 წლის მოსწავლე
გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსში - „ლეონარდო და ვინჩი“ - მონაწილე ჩემი
არასრულწლოვანი შვილის / მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის პერსონალური მონაცემები
დაამუშაოს კონკურსის მიზნებისთვის.

თანდართული ფაილ(ებ)ი:

- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/მშობლის მიერ უფლებამოსილი პირის პირადობის
დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ელექტრონული ასლი
- ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება არასრულწლოვნის მეურვეობის (ასეთის
არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია

ხელმოწერა: -----

თარიღი: ----- / ----- / -----

LEO_2026

სარეგისტრაციო შიფრი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2026 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსში - „ლეონარდო და ვინჩი“ - მონაწილეობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო განაცხადის შესახებ, წინამდებარე განაცხადით ვადასტურებთ, რომ გავეცანით „მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის №98 დადგენილებას, ასევე, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 10 მარტის N294234 ბრძანებას „მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გამოცხადებისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ“ და ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ მათ სავალდებულო დაცვას. ასევე ვადასტურებთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი განაცხადის ავტორობას. ჩვენ მიერ გრანტების მართვის ერთიან სისტემაში [Grants Management Unified System] კონკურსის თითოეული ეტაპისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთანავე, ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი განაცხადი კონკურსიდან.

ასევე, ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი არ არის საპრიზო ადგილის მფლობელი ან გამარჯვებული ფონდის ან სხვა ორგანიზატორის მიერ ადრე ჩატარებულ კონკურსში და არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ასევე თანახმა ვართ, რომ ჩვენი პერსონალური მონაცემები, კონკურსის მიზნებისთვის, დამუშავდეს ფონდის მიერ.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი 2026 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“.

პროექტის სახელწოდება	
სამეცნიერო მიმართულება	
ქვემიმართულება	

პროექტის ავტორ(ებ)ი

№	სახელი, გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1		გუნდის ლიდერი	
2		გუნდის წევრი	
3		გუნდის წევრი	

პროექტის ხელმძღვანელი

სახელი, გვარი	ხელმოწერა

შესაბამისი დარგის მეცნიერი

სახელი, გვარი	ხელმოწერა

**2026 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის
„ლეონარდო და ვინჩის“ მეორე ეტაპზე წარსადგენი
პროექტის აღწერილობა**
(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 250)
გთხოვთ, სრულყოფილად შეავსოთ თითოეული პუნქტი

პროექტის აღწერილობა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. გამოგონების/კვლევის სიახლისა და ორიგინალურობის აღწერა

- გამოგონებას უნდა ჰქონდეს პრაქტიკული გამოყენებადობა, ამასთან მას უნდა ჰქონდეს სიახლე, ანუ რაიმე ახალი ელემენტი, კონკრეტული დანიშნულებით, რომელიც არ არის ცნობილი იმ დარგში.
- იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზებული გამოგონება/კვლევა წარმოადგენს წინა/წლებში შემოთავაზებული გამოგონების გაგრძელებას, მაშინ აღწერეთ რა არის ამჟამად წარმოდგენილი გამოგონების სიახლე და რით განსხვავდება წინა წლებში შემოთავაზებული გამოგონებისგან.
- იმ შემთხვევაში თუ პროექტში ჩართულია ორი ან სამი ავტორი, დეტალურად აღწერეთ თითოეულის ფუნქცია და როლი გამოგონებაში.
- დეტალურად აღწერეთ ყველა პროცედურა და ექსპერიმენტული დიზაინი, რომლებიც გამოყენებულ იქნება მონაცემების მოსაგროვებლად.

2. გამოგონების/კვლევის აქტუალობა და მისი პრაქტიკული გამოყენებადობა/რეალიზებადობა

აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, კვლევითი პროექტის (შესაძლო) რისკები.
დაასაბუთეთ გამოგონების/კვლევის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული გამოყენებადობა.

3. დასკვნა

აღწერეთ (თუ ეს შესაძლებელია), რა სამეცნიერო/სოციალური სარგებლის მოტანა შეუძლია თქვენს მიერ შემოთავაზებულ სამეცნიერო გამოგონებას.

ბიბლიოგრაფია: წარმოადგინეთ მინიმუმ 2 (ორი) წყარო (მაგ.: სამეცნიერო ჟურნალების სტატიები, წიგნები, ინტერნეტის ვებ-გვერდები) თქვენი ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილიდან.

2026 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ სამეცნიერო მიმართულებები და ქვემიმართულებები

ქცევითი და სოციალური მეცნიერებები

- კლინიკური და განვითარების ფსიქოლოგია
- კოგნიტური ფსიქოლოგია
- ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია
- სოციოლოგია
- სხვა

ქიმია/ბიოქიმია/ბიოსამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებები

- ანალიტიკური ქიმია
- კომპიუტერული ქიმია
- გარემოსდაცვითი ქიმია
- არაორგანული ქიმია
- მასალათა ქიმია
- ორგანული ქიმია
- ფიზიკური ქიმია
- ანალიტიკური ბიოქიმია
- ზოგადი ბიოქიმია
- სამედიცინო ბიოქიმია
- სტრუქტურული ბიოქიმია
- დაავადების დიაგნოსტიკა
- დაავადების მკურნალობა
- წამლის გამოცდა და განვითარება
- ეპიდემიოლოგია
- კვების პროდუქტები
- ფიზიოლოგია და პათოფიზიოლოგია
- სხვა

უჯრედის და მოლეკულური ბიოლოგია

- უჯრედის ფიზიოლოგია
- გენეტიკა
- იმუნოლოგია
- მოლეკულური ბიოლოგია
- ნეირობიოლოგია
- სხვა

კომპიუტერული ბიოლოგია და ბიოინფორმატიკა

- ალგორითმები, მონაცემთა ბაზები
- ხელოვნური ინტელექტი

- ქსელის გაყვანა და კომუნიკაცია
- გამოთვლითი მეცნიერება, კომპიუტერული გრაფიკა
- პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, პროგრამირების ენები
- კომპიუტერული სისტემა, ოპერაციული სისტემა
- სხვა

დედამიწისა და გარემოსდაცვითი მეცნიერებები

- ატმოსფერული მეცნიერება
- კლიმატის მეცნიერება
- ეკოსისტემაზე გარემოსდაცვითი ეფექტები
- გეომეცნიერება
- წყლის მეცნიერება
- სხვა

დანერგილი სისტემები

- სქემები
- ინტერნეტი
- მიკროკონტროლერი
- ქსელები და მონაცემები
- კომუნიკაციები
- ოპტიკა
- სენსორები
- სიგნალის დამუშავება
- სხვა

ენერგია: ქიმიური და ფიზიკური

- ალტერნატიული საწვავი
- კომპიუტერული მეცნიერების ენერგია
- წიაღისეული საწვავის ენერგია
- წიაღისეული საწვავის და კვების ელემენტის განვითარება
- მიკრობული საწვავის უჯრედები
- მზის მასალები
- ჰიდრო ენერგია
- ატომური ენერგია
- მზის ენერგია
- მდგრადი დიზაინი
- თერმული ძალა
- ქარი
- სხვა

საინჟინრო მექანიკა

- კოსმოსური და ავიაციური ინჟინერია
- სამოქალაქო ინჟინერია
- კომპიუტერული მექანიკა
- კონტროლის თეორია
- გრუნტების მექანიკა
- ინდუსტრიული ინჟინერია, დამუშავება
- საზღვაო ინჟინერია
- სხვა

გარემოსდაცვითი ინჟინერია

- ბიორემედიაცია
- მელიორაცია
- დაბინძურების კონტროლი
- გადამუშავება და ნარჩენების მართვა
- წყლის რესურსების მართვა
- სხვა

მასალათმცოდნეობა

- ბიომასალები
- კერამიკა და მინა
- კომპოზიტური მასალები
- გამოთვლები და თეორია
- ელექტრონული, ოპტიკური და მაგნიტური მასალები
- ნანომასალები
- პოლიმერები
- სხვა

მათემატიკა

- ალგებრა
- ანალიზი
- კომბინატორიკა, გრაფთა თეორია და თამაშის თეორია
- გეომეტრია და ტოპოლოგია
- გამოთვლითი თეორია
- ალბათობა და სტატისტიკა
- სხვა

მიკრობიოლოგია

- ანტიმიკრობული აგენტები
- გამოყენებითი მიკრობიოლოგია
- ბაქტერიული მიკრობიოლოგია
- გარემოსდაცვითი მიკრობიოლოგია
- მიკრობული გენეტიკა
- ვირუსოლოგია
- სხვა

ფიზიკა და ასტრონომია

- ასტრონომია და კოსმოლოგია
- ატომური, მოლეკულური და ოპტიკური ფიზიკა
- ბიოლოგიური ფიზიკა
- კომპიუტერული ფიზიკა და ასტროფიზიკა
- კონდესირებული ნივთიერებები და მასალები
- ინსტრუმენტირება
- მაგნიტიზმი, ელექტრომაგნიტიზმი და პლაზმა
- მექანიკა
- ბირთვული და ნაწილაკების ფიზიკა
- ოპტიკა, ლაზერი და მაზერი
- კვანტური ---

- თეორიული ფიზიკა
- სხვა

მცენარეების შემსწავლელი მეცნიერებები

- აგრონომია
- ეკოლოგია
- გენეტიკა/მოშენება
- განვითარება და ზრდა
- პათოლოგია
- ფიზიოლოგია
- სისტემატიკა და ევოლუცია
- სხვა

რობოტიკის და ინტელექტუალური მანქანები

- ბიომექანიკა
- კოგნიტური სისტემები
- კონტროლის თეორია
- მანქანების სწავლა
- რობოტი კინამატიკა
- სხვა

კომპიუტერული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა

- ალგორითმი
- კიბერუსაფრთხოება
- მონაცემთა ბაზები
- ოპერაციული სისტემები
- პროგრამირების ენები
- სხვა

2026 წლის მოსწავლე გამოგონებელთა და მკვლევართა კონკურსის

„ლეონარდო და ვინჩის“

პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმები

საკონკურსო კომისია პირველ ეტაპზე საკონკურსო განაცხადების შეფასებისას იხელმძღვანელებს შემდეგი კრიტერიუმებით

	კრიტერიუმები	შეფასების დიაპაზონი	ქულები	კომენტარი
1	გამოგონების/კვლევის სიახლე/ორიგინალურობა	1-20		
2	გამოგონების/კვლევის პრაქტიკული გამოყენებადობა/რეალიზებადობა;	1-15		
3	მეთოდოლოგია	1-15		

შენიშვნა:

- მაქსიმალური შეფასებაა 50 ქულა
- კონკურსის მეორე ეტაპზე დაიშვებიან ის კონკურსანტები, რომლებიც პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მიიღებენ არანაკლებ 30 ქულას.

**2026 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის
„ლეონარდო და ვინჩის“
მეორე ეტაპის შეფასების კრიტერიუმები**

შენიშვნა: კონკურსის ფინალზე - საკონკურსო გამოფენაზე - გადასასვლელად აუცილებელი პირობაა პროექტმა (1,2,3,4 კრიტერიუმებში) მიიღოს 40 ან მეტი ქულა.

#	კრიტერიუმები კვლევებისათვის	ქულების დიაპაზონი	შეფასება	კომენტარი
1	საკვლევი საკითხი - მიზანი ნათელად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული; - განსაზღვრულია, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია საკვლევ სფეროში; - სამეცნიერო მეთოდების ტესტირება შესაძლებელია.	1-10		
2	დიზაინი და მეთოდოლოგია - გეგმა და მონაცემთა შეგროვების მეთოდი კარგად არის წარმოჩენილი; - ცვლადები კარგად არიან განსაზღვრული და კვლევის შესატყვისნი არიან.	1-15		
3	შესრულება: მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და ინტერპრეტაცია - მონაცემთა ანალიზი და შეგროვება სისტემატურია; - შედეგები აღწარმოებადია; - მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები შესატყვისია; - მონაცემები საკმარისადაა შეგროვილი ინტერპრეტაციისათვის და დასკვნების გასამყარებლად.	1-20		
4	კრეატიულობა - პროექტი კრეატიულია ზემოთჩამოთვლილი ერთი, ან მეტი კრიტერიუმის მიმართებით.	1-20		

საკონკურსო გამოფენა:

5	პრეზენტაცია <u>ინტერვიუ (35 ქულა)</u> - მკაფიო, გააზრებული, სხარტი პასუხები კითხვებზე; - პროექტის შესატყვისი სამეცნიერო დარგის ცოდნა; - შედეგების ინტერპრეტაციის და დასკვნების გამოტანის უნარი; - განსახორციელებელ პროექტში დამოუკიდებლობის დონე; - მეცნიერებაზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე პოტენციური გავლენის გაცნობიერება; - შემდგომი კვლევისთვის იდეების მოაზრება; - გუნდური პროექტების წარდგენისას გუნდის ყველა წევრის მიერ პროექტში თავ-თავიანთი წვლილის	1-35		
---	--	------	--	--

	წარმოჩენა და პროექტის არსის ზემიწევნად კარგად ცოდნა.			
--	--	--	--	--

#	კრიტერიუმები საინჟინრო მიმართულებისათვის	ქულების დიაპაზონი	შეფასება	კომენტარი
1	საკვლევი პრობლემა - პრაქტიკული მოთხოვნილების, ან პრობლემის გადაწყვეტის გზების აღწერა; - შემოთავაზებული გადაწყვეტილების კრიტერიუმის განსაზღვრა; - შეზღუდვების განმარტება.	1-10		
2	დიზაინი და მეთოდოლოგია - მოთხოვნილების, ან პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება; - პრობლემის გადაჭრის გადაწყვეტილების განსაზღვრა; - პროტოტიპის/მოდელის შემუშვება.	1-15		
3	შესრულება: კონსტრუირება და გამოცდა - მოდელი წარმოაჩენს დაგეგმილ ჩანაფიქრს; - მოდელი გამოცდილია სხვადასხვა პირობებში; - მოდელი დასრულებულია და წარმოადგენს საინჟინრო ნაკეთობას.	1-20		
4	კრეატიულობა - პროექტი კრეატიულია ზემოთჩამოთვლილი ერთი, ან მეტი კრიტერიუმის მიმართებით.	1-20		

საკონკურსო გამოფენა:

5	პრეზენტაცია <u>ინტერვიუ (35 ქულა)</u> - მკაფიო, გააზრებული, სხარტი პასუხები კითხვებზე; - პროექტის შესატყვისი სამეცნიერო დარგის ცოდნა; - შედეგების ინტერპრეტაციის და დასკვნების გამოტანის უნარი; - განსახორციელებელ პროექტში დამოუკიდებლობის დონე; - მეცნიერებაზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე პოტენციური გავლენის გაცნობიერება; - შემდგომი კვლევისთვის იდეების მოაზრება; - გუნდური პროექტების წარდგენისას გუნდის ყველა წევრის მიერ პროექტში თავ-თავიანთი წვლილის წარმოჩენა და პროექტის არსის ზემიწევნად კარგად ცოდნა.	1-35		
---	---	------	--	--